

495/2/11909

პროვზული თავისუფლების ზრით — პროვზული თავისუფლებისათვის
პროვზული თავისუფლების ზრით — პროვზული თავისუფლებისათვის

საქართველო

70 1-2

საქართველოს სახალხო ფრონტი
ქრთველკვირძული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზაჟეთი
ბამოდიოლა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღღბენილია 1989 წელს.

№ 1 (1375)

29.1 3.11, 1994 წ.

სოსუეი რაბარებული იქნა ისევე, როგორც ბაბრა

— თქვა ბატონმა ბორის კაკუბავამ
ა. წ. 22 იანვარს საზოგადოება
„ცოდნის“ დარბაზში გამართულა ერთ-
ვნილი ერთიანობის საბჭოს, აფხაზეთის
განთავისუფლების ორგანიზაციის პრე-
სკონფერენციასზე.

ჩვენი მთავრობა თვლის, რომ აფ-
ხაზეთის დაბრუნება უნდა მოხდეს მხო-
ლოდ პოლიტიკური გზით, თუმცა საო-
მარი გზაც რომ პოლიტიკური გზაა, მათ
ამის შესახებ, ეტყობა არ იციანო —
ბრძანა ბატონმა ბორის კაკუბავამ. არა-
და, აფხაზეთის დაბრუნება უნდა მოხ-
დეს იმ გზით, რა გზითაც ჩვენ
აფხაზეთმა გამოგვყარეს. მაგრამ მთავ-
რობა არაფერზე არ ზრუნავს და თუ
რაიმე გადაწყვეტილება მიღებული აფ-
ხაზეთთან დაკავშირებით, იგი საქართვე-
ლოს საზიანოდ უფრო გამოდგება,
ვიდრე სასიკეთოდ.

ბ-ნმა ბორის კაკუბავამ განაცხადა,
რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს
თავიდანვე არ დაერქვა თავისი ნამდ-
ვილი სახელი — საქართველოს მიმართ
რუსეთის აგრესია მსოფლიოს წინაშე
წარმოჩენილი იქნა, როგორც სეპარატი-
სტთა აჯანყება ცენტრალური ხელისუ-
ფლების წინააღმდეგ, ხოლო იმის მაგი-
ვრად, რომ დამპყრობლები ემხილებინათ,
ჩვენმა ხელისუფლებამ მათ შუამავა-
ლის, „მშვიდობის გარანტის“ სტატუსი

მიაკუთვნა. ე. წ. დემოკრატიული რუ-
სეთის იმედით შეცდომაში შეყვანილმა
საზოგადოებამ სოჭის 27 ივლისის „ზა-
ვი“ მიიღო როგორც პანაცეა, რომელიც
სხვა არაფერი იყო, თუ არა ვერაგობა
საქართველოს მიმართ. სწორედ სოჭის
შეთანხმების შემდეგ თვალუბრეველი
მოსახლეობა მიენდო საქართველოს ხე-
ლმძღვანელისა და ჩვენი მთავრობის
დაპირებებს, რაც სამწუხაროდ, ძვირად
დაუჯდა მათ და ათასობით ქართველი
მწარედ მოტყუებული ჩვენი მთავრობის
მიერ წამებით ჩაიხოცა თავის მიწა-წყა-
ლზე. თუმცა ყოველივე ამასე პასუხი-
სმგებლობა ზოგიერთმა თავის თავზე
აიღო, მაგრამ პასუხი არავის უვია.
ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ სო-
ხუმი ჩაბარებული იქნა ისევე, როგორც
გაგრა. საქმე ეხება ისეთი დონის
ლაღატს, რომლის ანალოგიაც საქართვე-
ლოს ისტორიაში არ მოგვეპოვება.
შევარდნამქმ თქვა ერთ-ერთ თავის
გამოსვლაში — ბრძანა ბ-ნმა ბორისმა
— „მე ვიცოდი გაგრა რომ დაეცემო-
დაო“; თუმცა მას ამის შესახებ ქალაქის
დაცემამდე არაფერი უთქვამს, განგაში
არ აუტეხია და პირიქით, ბრძანებაც კი
გასცა, რომ პირველში სწავლა დაე-

დასასრული მ 2-ე გვერდზე

ბანვადიარალოთ ქართველები, შეგადიარალოთ ოსები

ბანდიტიზმისგან გაწამებული მოსა-
ხლეობის სმენას მაღამოდ ედება უკა-
ნასკენელ ზანებში მასობრივი ინფორმა-
ციის საშუალებებით უხვად ტირაჟირე-
ბული ცნობები უკანონოდ არსებული
იარაღის ამოღების შესახებ. გულახდი-
ლად უნდა ითქვას, რომ ამ ოპერაციებმა
ცოტა გული მოუბრუნა ხალხს სამარ-
თაღდამცველ ორგანიზებზე, კონკრეტუ-
ლად კი პოლიციაზე. სამწუხაროდ,
სინამდვილეში ყველაფერი ისე არ
ხდება, როგორც ეს მოკლე ინფორმაცი-
ების მშრალი სტრიქონებიდან ჩანს.
გორში ჩატარებულმა ოპერაციამ ეს
კიდევ ერთხელ დაადასტურა. ჯერ იყო
და მთელმა გორმა იცოდა ოპერაციის
ღაწყების ვადა, თანაც თითქმის მთელი
დღით ადრე გაიგეს. მეორეც, პოლიციის
მანქანათა კოლონები მაინცდამაინც იმ
ბინებს მიადგნენ, სადაც ცხინვალიდან
ლტოლვილები ცხოვრობდნენ და იქიდან
წამოღებული რამოდენიმე ცალი ცეცხ-
ლსასროლი თუ სხვა სახით იარაღით
დაკმაყოფილდნენ. სიმართლე უნდა ით-

ქვას, ყველაფერი კორექტულად ხდებო-
და, მაგრამ გულსატკეპნი სხვა რამეა.
სანამ გორამდე მივიდოდნენ პოლიციე-
ლთა მანქანების კოლონებმა გორის
რაიონის ოსური სოფლები გაიარეს,
სადაც იმდენი იარაღია საქართველოს
არც ერთ რეგიონს რომ არ დასიზმრე-
ბია. მარტო თბილის-გორის ტრასის
მახლობლად მდებარე ახალგორის რაი-
ონის სოფლებში წინაგარში და ზახო-
რში ათასზე მეტი შეიარაღებული კაცის
მოგროვება შეიძლება. კარგი სანახავეები
იქნებოდნენ პოლიციელები იქ რომ
შეედეგათ ფეხი. ჩვენ ქართველების
განიარაღებით ვართ დაკავებული, რაც
სრულიად სამართლიანია, რადგან თოვი
მეთოფეს უნდა ეკავოს და არა ყველას
ვისაც არ ეზარება, მაგრამ ვინ განა-
იარაღებს ოსებს, რომელთა შეიარაღე-
ბაში წვლილი ზოგიერთ ქართველსაც
შეატქს, რომლებიც ნარკოტიკებში ხში-
რად ავტომატებს აძლევენ ოსებს.

მერაბ მაისურაძე

ანონსი:

როგორ უნდა გვესძიოთ საქართველოში
წესრიგის დასამყარებლად დაქირავებული
რუსის ჯარის გამოყენება?
ტ. კვანჭილაუვილი
(მე-2 გვერდი)

მედუქნე კულუბებოში აგართლებს
„პოლიტიკოს“ კულუბებოვს
გ. მაისურაძე
(მე-3 გვერდი)

დავით ზემიკიძე:
რუსის ჯარის უემოყვანაზე იმიტომ
ვსაუბრობ, მსურს საქართველოს
კეთილდღეობა
(მე-4 გვერდი)

გუნდი ბრძნობდა, რომ ბერიას სხემთ
მთავრობის უმაღლეს უშელონში ყავდა
ერთგული და კლიერი ქოვაბი
გ. იოსელიანი
(მე-4 გვერდი)

შევე ბატკვანილი გუბიდან გადასახვევი
ბილიკები, რომლებმაც შეიძლება
მიგვიყვანონ ონკოლოგიურ ავადმყოფთა
ბანკურნებაზე მოქმენილია.
ნ. ჩხარტიშვილი
(მე-7 გვერდი)

სოხუმი ჩაბარებული იქნა

ისევე, როგორც ბაბრა

პირველი გვერდიდან

წყობი, ხოლო 2-ში გაგრა დაეცა. ასევე მოხდა სოხუმშიც, სადაც დაბომბვა დაიწყო 15 სექტემბერს და ბრძანებები მუშაობისა და სწავლის შესახებ წინა დღეებში იქნა გაცემული. საქართველოს ხელისუფლებას — მისივე განცხადებით — პაგისტრატებისა და კომუნიკაციების დაცვა უფრო ადვილდება, ვიდრე აფხაზეთის ხელისუფალთა სეპარატისმი. ხელისუფლება განგებ არ აძლევდა საშუალებას ქართულ ჯარს წინ წასულიყო ვითომდა იმ მოტივით, თითქოს ეს გამოიწვევდა უმართავ პროცესებს და აფხაზების გენოციდს. მთავრობამ ვერ შეძლო ერთიანი ჯარის შექმნა და მისი ცენტრალიზებული მართვა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას თავისი ადგილი მთავარსარდალი ჰყავდა. განა მართლა ასეთი დაუძლეველი იყო კოდორის ბარიერი? განა სოხუმში კონცენტრირებული ძალები, მათი მინიმალური ორგანიზების შემთხვევაში, არ იყო საკმარისი ქალაქის დასაცავად? ასევე გასაკვირია, თუ აფხაზეთიდან სვანეთში უამრავმა ადამიანმა და ჯარმა შესძლო გადასვლა, ნუთუ სოხუმის დასახმარებლად იგივე გზის გამოყენება არ შეიძლებოდა? ანდა, ნუთუ ჩვენმა მთავრობამ არ იცოდა თავის დროზე აფხაზეთის შეიარაღების შესახებ? 14 აგვისტოს ქართული ჯარის ნაწილები შევიდნენ აფხაზეთში რუსეთის დაკვეთით, ვინ იყო ამის შემსრულებელი, ამის გამოაშკარავებს მოკითხოვთ, ვინ იყო ორგანიზატორი ტყვარჩელ-ოჩამჩირეში ხელოვნურად გაეხსნათ მეორე ფრონტი? ვისი ბრძანებით არ მოხდა ქართული ჯარის სოხუმში შეყვანა, ან რატომ არ აიღეს ბზიფი, როცა შეიძლებოდა ეს თავისუფლად მომხდარიყო? რა თქმა უნდა, ქართველთა გათიშულობამ მნიშვნელოვანი დადი დაასვა ომის მიმდინარეობას, ვგრამ განა მხოლოდ სამეგრელო აღმოჩნდა მოწყვეტილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომისაგან. განა ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის შედეგი არ გახლდათ ის, რომ ომი არ იქნა აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში? ვის უნდა მოვსთხოვოთ პასუხი, თუ არა საქართველოს ხელისუფალთ იმაზე, რომ ფაქტიურად ქართული ჯარის ნაწილები სოხუმისათვის ბრძოლის არც ერთ ეპიზოდში არ დამარცხებულან და თითქმის ყველგან საბრძოლო პოზიციები დატოვებული იქნა უკანდახევის ბრძანების ან მასშველი ძალის თვითნებობის გამო? ვის უნდა მოვსთხოვოთ პასუხი, თუ არა ხელისუფალთ იმაზე, რომ არ მოხდა მოსახლეობის დროული ევაკუაცია, რომელიც ღვთის ამცნე იქნა მიტოვებული სასიკვდილო საფრთხის წინაშე? ყოველივე ამის გამო პასუხი უნდა აგოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, სახელმწიფოს მეთაურმა, რომელიც ფაქტიურად მარტო განაგებს ქვეყანას. ჯარისკაცს ომი არ წაუღია, ომი საქართველოს ხელისუფლებას. მისმა მთავარსარდალმა წააგო და თუ რატომ, შევარდნაძემ უნდა უხსნას მთელ

ქვეყანას და არა მარტო, ცალკე რეზოამაშუკულს. ყველაფერი უნდა ითქვას საჯაროდ, უნდა ითქვას თუ რატომ ჩაგვბარეთ სოხუმი.

ჩემი აზრით — განავრცობდა ბ-ნი კაკუბავა — შევარდნაძემ ჩაფიქრებული აქვს ახალი გეგმების განხორციელება რისი მეშვეობითაც სულ მალე საქართველო ურუსეთოდ ვერ იარსებებს.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ საქართველოს ხელისუფლების კაპიტულანტურმა კურსმა ლოგიკურად შენევის ეროვნული ღირსების შემლახავ მოლაპარაკებამდე მიიყვანა ქვეყანა. შენევის გზით, აფხაზეთზე კონტროლის აღდგენა ძალიან საეჭვოა. რაც შეეხება კომუნიკებს, ეს არის დოკუმენტი, რომელიც რუსის ჯარს აძლევს ყველაფრის უფლებას — კომუნიკე არის საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული კაპიტულანტური აქტი. ჩვენი პრეტენზია, მთელ კომუნიკებზე ვრცელდება — ბრძანა ბატონმა ნადარაიამ — კომუნიკეს პირველ პუნქტში საუბარია იმაზე, რომ მხარეები — საქართველო და აფხაზეთი, ერთმანეთს არ დაემუქრებიან ძალით და არ მიმართავენ ფიზიკურ ძალასო — საინტერესოა, რა მუქარაზე აქ საუბარი აფხაზეთის მხრიდან და საერთო კომუნიკეში ნაკლებად, ცალსახადაა საუბარი აფხაზეთში დაბრუნებაზე; გარდა ამისა ამავე დოკუმენტში წერია, რომ მხარეებს გაჰყავთ კონფლიქტის ზონიდან თავისი შეიარაღებული ძალები. საზღვრად მიჩნეულია მდინარე ენგური, რაც ნიშნავს იმას, რომ ზუგდიდი დაუცველი რჩება.

კომუნიკეში წერია, თითქოს შესრულდა მოლაპარაკება და მოხდა ტყვეების გაცვლა პრინციპით, ყველა — ყველაზე, რაც სიცრუეა. ჩვენი 800 ქართველი ტყვე კვლავ სოხუმის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფება და ამის შესახებ „დოკუმენტში“ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა აფხაზეთის ომის თავიდან აცილება, ბატონმა ბორისმა უპასუხა: „შეიძლებოდა, ჩვენს მთავრობას სეპარატისტები თავის დროზე რომ აელაგმა და ეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა. ომი საერთოდ არ უნდა ყოფილიყო აფხაზეთში. 1978 წლიდან ამას ხელს უწყობდა საქართველოს ხელისუფლება. 1978 წელს, როცა აფხაზი მოსახლეობა გაიფიცა, მაშინ ქართული მთავრობა დადიოდა აფხაზეთის სოფლებში და ბოდიშს უხდიდა მათ. აქედან მოყოლებული მთავრობამ მისცა უფლება აფხაზებს ებატონათ ქართველებზე და მათაც ერთობლივად დაიწყეს სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა. ხომ არ გგონიათ, რომ ჩვენი მთავრობა ვერ ხვდებოდა იქ ომის მომხადებას ჩვენს წინააღმდეგ. ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა“ — ბრძანა ბატონმა კაკუბავამ და ბოლოს აღნიშნა, რომ სულ მალე აპირებენ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟურ აქციების მოწყობას მთიხონით. — ითქვას სიმართლე და ყველამ ყველაფერზე პასუხი აგოს.

მ ბოლო დღეებში საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას ჯერ ვიცეპრემიერმა ა.მარგალიტა, მერე კი თბილისის პოლიციის მესვეურმა დ.ხეიკიძემ განაცხადეს საქართველოში წესრიგის დასამყარებლად დაქირავებული რუსის ჯარის ნაწილების მოწვევის აუცილებლობის შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი საკუთარ აზრს არ გამოთქვამენ... პირდაპირ ვიტყვი, რომ ახლა ვინმეს მოტყუილება ძნელია და რატომღა მიმართავენ ასეთ ილეთებს? ისიც ცნობილია, რომ სიცრუე და ზნეობა ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებულია.

როგორ უნდა გვესმოდეს საქართველოში წესრიგის დასამყარებლად დაქირავებული რუსის ჯარის გამოყენება? ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ჩვენ, ქართველები, იმდენად გადავგვარდით, რომ საკუთარ ქვეყანაში წესრიგის აღდგენის ძალაც აღარ შეგვეწევს (მტერმა ხომ დაგვაპარცხა და ესეც არ

მდეც, დაამყარებდნენ. **ქართველი მოველი**, რომ კვლავ ვაჩიქრებთ „იდეა“, რომლის ძალითაც საქართველო კიდევ უფრო ჩაეხვევა რუსის მერე კი მართლა ახდება ჟორინოვსკის ნატვრა — საქართველო გადაიქცევა თბილისის გუბერნიად.

მაშინ კი სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ დამოუკიდებლობას.

ასეთი პერსპექტივის წარმოდგენისას ისმის კითხვა: რისთვის დაიღვარა ამდენი ქართველის სისხლი? რისთვის დაჯიჯგნეს საქართველოს ტერიტორია? რისთვის იყო საჭირო ამდენი ნგრევა, ტანჯვა, გლოვა, შიმშილი, გათიშვა, გამწარებული ცხოვრება?

ვინ აგებს პასუხს ყოველივე ამაზე? დიქტატურის დროსაც კი არსებობდა მოსაზრება, რომ ცუდი ხალხი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ცუდი ხელმძღვანელობა. დღეს რა გამოდის? არსებობს ცუდი ქართველი ხალხი, რომელსაც არც გარეშე მტრის მოგვე-

სუდად შენიღბული „ეშპაკობა“

ვიკმართო?) და ამიტომ გარეშე ძალა უნდა მოვიშველიოთ საკუთარი ხალხის დასათრგუნავად. კი მაგრამ, ეს თუ ვაღიარეთ, თავი „სადრა“ გამოვფიქრო, მსოფლიოს რაღა თვალთ შევხედოთ? ან იმ მსოფლიოს ჩვენსკენ გამოხედვის სურვილი განა კიდევ შერჩება? ამისთანა ხალხთან ურთიერთობას ვინდა მოინდომებს, განა ამისი ღირსი ვიქნებით?

შუა საუკუნეების ისტორიიდან ცნობილია, რომ არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების უნიათო და უნიჭო მეფეები ზოგჯერ მიმართავდნენ ასეთ „მეთოდს“, უცხო ქვეყნის ჯარს იქირავებდნენ და მიუსევდნენ საკუთარ ხალხს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით რა სახელიც დარჩათ ასეთ მეფეებს. გარდა ამისა, ახლა ხომ შუა საუკუნეები არ არის, მეოცე საუკუნის მიწურულია.

წარმომიდგენია ასეთი პერსპექტივა: შევიდვარ უნივერსიტეტში, რომელთანაც ჩემი ცხოვრებაა ნახევარ საუკუნეზე მეტი დაკავშირებული, კარებში გადამიდგება რუსი ჯარისკაცი, მომთხოვს საბუთს, ამათვალიერებს, თუ მოგეწონე, გამიშვებს, თუ არა და უკან გამომაბრუნებს... რა ბედნიერი დაგბრუნდები შინ! გესმით, რას მოითხოვენ?!

არსებობს ადამიანის პირადი ღირსება და არსებობს ეროვნული ღირსება. ნუთუ ჩვენ ორივე დაგვარგეთ? ეს ხომ თვითმკვლელობაზე უარესია!

ნიშანდობლივია ასეთი თანმიმდევრობა: ჯერ სამეურნეო მუშაკებმა „დაიპურეს“ ტელევიზია, რადიო, პრესა, რომელთა მეშვეობითაც ისინი გვიმტკიცებდნენ, სნგ-ში თუ არ შევედით, ჩვენი ეკონომიკა; ვერაზოდეს აღდგება, შიმშილით დავისიცვებით.

შევედით სნგ-ში და შიმშილით მაინც ვიხიცვებით.

ახლა „გვისაბუთებენ“, რუსის ჯარი თუ არ დავიქირავოთ წესრიგის დასამყარებლად, ჩვენივე წესრიგი ვერაზოდეს დაამყარდება.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს იდეა მალე განხორციელდება, მაგრამ დამყარდება ჩვენში წესრიგი? ამაში ეჭვი იმიტომ შეიძლება, ხელისუფლების მიანდობა რომ ყოფილიყო წესრიგის

რიება შეუძლია, არც შიგნით წესრიგის დამყარების უნარი შესწავს და ამიტომ მის კარგ ხელმძღვანელობას სხვა რაღა დარჩენია, მოიწვევს უცხო ხიშტებს და ამ ცუდ ხალხს წესრიგს სხვისი ხელით დაუმყარებს... მშვენიერი ლოგიკაა, უკეთესს ვერ მოიფიქრებს კაცი.

სულ იმას გავიძახოდით, დატაკნი ვართ, ჯარის შექმნა და მისი შეიარაღება არ შეგვიძლიაო, აფხაზეთში წარმატებებს ამიტომ ვერ ვაღწევთ... ახლა გავმადლოდით? ჯარის დაქირავების საშუალება თუ გვექნება, მაშინ დაგვექირავებინა, სანამ აფხაზეთიდან გამოგვყრიდნენ. რა ხდება, რა გვეპართება, მართლა გონება დაგვებინდა თუ კიდევ უარესი რამ გვჭირს? განა ომში დამარცხეს შემდეგ ისე გავმდიდრდით, რომ ახლა გვაქვს რუსის ჯარის დაქირავების საშუალება და ისიც იმიტომ, რომ ჩვენს ხალხში წესრიგი მათ დაგვიმყარონ? ასეთი აზრიც კი საზარელია და მისი ხმამაღლა გამოთქმა ხომ უარესი.

სამეგრელოში უკვე გამოვიყენეთ რუსის ჯარი. სირცხვილისათვის ესაც კმარა. ამ ბოლო ხანს ძალიან კი შევიყვარეთ 9 აპრილის ჯალათი, აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ „ნეიტრალურად“ მებრძოლი რუსის ჯარი... ჩვენ ხომ ხალხი ვართ, ადამიანები ვართ და არა მგელა, რომელსაც, ანდაზის მიხედვით, თავისი მახრობელი უყვარს.

ბატონო ავთანდილ და ბატონო დავით, მე თქვენ მოგმართავთ თხოვნით, ერთხელ კიდევ გამოხვიდეთ ტელევიზიით და საჯაროდ აღიაროთ, რომ შეცდით, რომ თქვენი განცხადება წუთიერი ემოციებით იყო გამოწვეული, რომ კარგად გააზრების შემდეგ სინაზულს გამოთქვამთ თქვენი მცდარი და ქართველი ხალხის ღირსების შექლახველი წინადადების წამოყენებისათვის. შეცდომის აღიარება თქვენს სახელს უშველიად დაუბითაოდ წაადგება.



მედუქნე კულუმბეგოვი ამართლებს „პოლიტიკოს“ კულუმბეგოვს

საკუთარი თანამეინახეების მიერ ექსპორიაქმნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ტორეზ კულუმბეგოვი, ასევე მოსკოვში გენერალ კარ-

ბიშვიის ბულვარზე მდებარე შერეული საქონლის მაღაზიაში ვაჭრობს. იმპერია ერთგული სამსახურისათვის პენსიას ვერ დაუნიშნავდა ოსური აგრესიული სეპარატისმის მამას,

ლუკმა კი უნდა გაეჩინა მისთვის და ასეც მოხდა. ახლა მედუქნე კულუმბეგოვი შემთხვევით შეხვედრილ ქართველებთან (შემთხვევით არაფერი ხდება) თავს იმართლებს. კერძოდ იგი

ამტკიცებს, რომ თბილისის სუკის იზოლაციიდან იმ პირობით იქნა გამოშვებული ოსთა გულები როგორმე ქართველებსაკენ მოებრუნებინა, მაგრამ არ დამიჯერეს და ცხინვალს

ქვა ამიტომაც მივაგორეთ. ია-ვარდით იყო მოფენილი პარტსკოლაში დანეცილი პოლიტიკოსების გზები, ახლა კი ნარეკლიანი გახდა და იცის ვის რა უნდა.

უპატრონო აკლესიას...

ცხინვალში დაიწყო ქართველთა მიტოვებული ბინების ოსი ეროვნების მოქალაქეებზე გადაფორმება. უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებას წინ უძღოდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პრესის საშუალებით ქართველთა არაერთგზის გაფრთხილება — თქვენი ბინები იურიდიულად ჩვენია საკუთრება ხდება და ემანდ მოულოდნელობამ გული არ გატყინოთო. პირველ რიგში გაფორმებული იქნა კომუნალური და უწყებრივი ბინები, ახლა საკუთარი სახლებსაც მიადგენენ, მაგრამ მათი მობროცენტი დამწვარია და საეჭვოა გამოადგეთ მეოცე საუკუნის დამპყრობლებს.

ოსთა ეს უგუნური ქიჩმაჩი ცრემლნარევი სიცოცხლე იწვევს ცხინვალის დემორტიკული ქართველთა შორის

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტელევიზია (დიდი ალბათობა იმისა, რომ ელცინ-შევაჩინაძის შეხვედრაზე, რუსეთ-საქართველოს ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ეს სიტყვები უბრალოდ

მარტივად ასახსნელია. რასაც წაგლეჯს პასტუხოვ-არჩინბას დუეტი საქართველოს, იმასვე მიიღებენ ოსები საქართველოს ჩრდილოეთში. ამიტომაც ოსურ პრობლემას ხანდახან ახსენებენ საქართველოს ხელისუფალთ.

მით უმეტეს ქართველებს. ისე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დამშუღლმა სალდაფებმა ერთი სასიკეთო საქმე მინც გააკეთეს — უმატრონო ძალებისაგან გაწმინდეს ცხინვალში და მისი შემოგარენი. ის კი არა

მანანაღლა კადლებს ფასი დაადოთ

დაიწერება) დიდ ადგილს უთმობს აფხაზეთს. გახშირდა მუქარა საქართველოს მიმართ, კერძოდ მეთოდურად იმეორებენ, რომ თუ ქართველები თავს არ დაანებებენ აფხაზეთს, მაშინ სამხრეთ ოსეთში გამოცხადდება მობილიზაცია და კონფედერაციის ძალებთან ერთად დაეხმარებიან აფხაზ ძმებს. ოსთა ეს ბოზიცია ბუნებრივი და

ამის დასტურია ყენევის ბოლო შეხვედრის წინ თავისი ანტიქართული საქმეებით ცნობილი გენერლის კონტრატივის ვიზიტი ცხინვალში, რომელმაც დიდი წუხილი გამოიქვეა რუსის ჯარის უაღრესად ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო. ის კი აღარ დაუზუსტებია, რომ ეს ჯარისკაცები აქ იმპერიის ინტერესებს იცავენ, და არა ოსებს ან

ახლა მოსახლეობასაც ევალიან და მოზრდილ-მოსუტებულ ძალებს საქმიანად კარგ ჭმასს — 1 კანისტრ ბენზინს სთავაზობენ. რას ვიზამთ, გემოვნებაზე არ დავობენ — ზოგს ძაღლის ხორკი უყვარს, ზოგს ძაღლიცამია სალდაფები.

ვერაბ ცხინვალელი

ცხვირი ჩავყოთ სხვის ცხოვრებაში!

რატომაც არა? ჩაიხედოთ მეზობლის ქვაბში, ბაზრიდან მომავალი დედაკაცის ხანთაში (ეს „სპორტი“ ზანსაკუთრებით გავრცელებულია ჩვენს მეზობელ ერთ-ერთ ცივ ქვეყანაში), ცოლ-ქმრის ღლონში, მამის ურთიერთობაში შვილებთან და შვილებისაში — მამასთან. ხან დავეგოთ კომპაუშირულად, ხან დაეხაჯოთ კომპარტულად, ხან შევარცხინოთ მეგობრულად, ხან პიროვნულად ვაძილოთ. მოდას რე ჩამოვრჩებით: თუ ძველები დასაგმობია, გავადევნოთ თვალი მოყვასის ბიოგრაფიას, ნაძველები ხომ არაა. თუ პირიქით, ძველები დადისებად ითვლება, „გაენითოთ“ მისი წარსული და ენახით, ეს სასახელი უფრცვლი ხომ არ აკლია. თუ საკუთარი ბიოგრაფია მინცდა-მინც არ გვესახელება, ეს რე შეგვაკავებს. აკი ხდება, რომ კაცი, რომელსაც სიჭაბუკე ბავშვობაში გაუტარებია (მეზობელ-მეგობარია ბინებში) თუქცა „პრაკონ ქურდამდე“ ვერ განვითარებულა, დღეს თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის გულის მესაიდუმლედ ითვლება და მის ბინადართა ძველი და ახალი საქმეების რეესტრს ადგენს! ესეც ხდება და ბევრი სხვა. ნათქვამია, გავლენიანი შემკვეთი მიწვევა და შესრულებას გიწვევებო (ანდახისა არ იყოს, გაჭირვება მიწვევა და გაქცევა გიწვევებო).

ახლა სხვა თემაზე და სულ სხვა პიროვნებებზე გადავიდეთ. ვინმე გიზო ნიშნიანიძე, რომელიც თურმე, პოეტი ყოფილა, ვინმე ნოდარ ნათაძეზე აცხადებს საჯაროდ და ტელევიზიით, ძველი ბიჭი არასოდეს ყოფილაო. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი კაცი მეორე კაცის ბიოგრაფიას ადგენს. ამ ფაქტმა დაგვიანტერესა და სოციოლოგებს გკითხეთ, რაა საჭირო, რომ ერთმა კაცმა მეორე კაცის ბიოგრაფია იკისროსო. მათ გკითხეთ, ერთმანეთის ცნობაო, და იმის შესამოწმებლად, იცნობენ თუ არა ისინი ერთიმეორეს საქარისად, ასეთი კითხვები შემოგთავაზებს:

1. ყოფილა თუ არა ნიშნიანიძე ნათაძის სახლში?

- ყოფილა თუ არა ნათაძე ნიშნიანიძის სახლში?
- ყოფილა თუ არა ნიშნიანიძეს და ნათაძეს საერთო მეგობრები ან მეგობარი?
- წასულან თუ არა ნიშნიანიძე და ნათაძე სტადიონზე ერთად, კინოში, თეატრში და ა.შ.?
- ყოფილან თუ არა ნიშნიანიძე და ნათაძე ერთ პურმარიაზე?
- უვლიათ თუ არა ნიშნიანიძეს და ნათაძეს ერთად გზაგოვში?
- უწხუბათ თუ არა ერთად (ან ერთმანეთთან)?
- ყოფილან თუ არა ნიშნიანიძე და ნათაძე ერთად ალპინიზადაში, ექსკურსიაზე, მგზავრობაში და ა.შ.?
- უწერდებიან თუ არა ნიშნიანიძე და ნათაძე ერთმანეთს სალაპარაკოდ ქუჩაში? თუ პო. მაშინ ეს ორი კაცი მართლაც ერთმანეთის კარგი ნაცნობი ყოფილა და ერთმანეთზე შემუარების წერა შესძლებიათ. თუ არა, მაშინ არ შესძლებიათ და უმჯობესია თავისი ტალანტები უფრო საინტერესო საქმეს მოახმარონ.
- ჩვენ მოვძებნეთ ნათაძე და ეს კითხვები მივეცით. მან ყველას „არა“ უპასუხა. თუ ნიშნიანიძე მოვძებნეთ, მასაც იმავე კითხვას მივეცით, ერთის დამატებით: შე დალოცვილო ნიშნიანიძე, თუ კაცს არ იცნობ, ან მხოლოდ საღმით იცნობ, რა გრჯის, რომ მისი ბიოგრაფიის წერას კისრულობ? თუ ნიშნიანიძე გეპაუება და გინდა მინცდამინც რაქე გაქეკო, ზანა ქუჩაში, ღობის ძირებში და ღალი ბუნების წიაღში ცოტა მოიძებნება უფრო შესაფერი საგანი, რომელიც ამ საპატო მთხონილებას დაგიკაყოფილებს? ნიშნიანიძე ალუკას არავინ ჩამოგაფარებს. მაგრამ თუ ნაშუსი მართლაც კარგი საქონელია (როგორც ამბობენ) რა ხეირი გაქვს, რომ იგი საბაზრო ფასზე უფრო იაფად გააქირავო?

პ. ჯღუდაძე

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოსაგან

კამათში რომ ქეშმარიტება იბადება, ამაში საეჭვო არაფერია. ამ მხრივ არ დავგაინტერესებდა საქართველოს ტელევიზიით რესპუბლიკის ვიცეპრემიერის ავთანდილ მარგანიის გამოსვლა ყოფილი ვიცე-პრემიერის რომან გოცირიძის სახელმწიფოებრივი საქმიანობის საკრიტიკოდ. სამაგიეროდ მის ამ ქმედებაში დამაინტერესებელია (რბილად რომ ვთქვათ) ყველაფერი დანარჩენი — ეკონომიკური პოლიტიკის არაკომპეტენტური და უსაფუძვლო კრიტიკით დაწყებული და ცილისწამებით დამთავრებული.

ბატონმა მარგანიამ, სამწუხაროდ, საეთერო დრო გამოიყენა პიროვნების ლანძღვისა და იმ ძაღლების დისკრედიტაციისათვის, რომელნიც, მისი სიტყვით, რ. გოცირიძის უკან დგანან.

ჩვენ, საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო, სიამოვნებით ვადასტურებთ, რომ სამართლიანია რომან გოცირიძის უკან მდგომ ძაღლებში სახალხო ფრონტის გულისმობა, ვინაიდან რ. გოცირიძე მართლაც სახალხო ფრონტის წევრია და ფრონტი მხარს უჭერს მას, როგორც კომპეტენტურსა და წმინდა სინდისის სპეციალისტს, რომელიც სხვა მრავალ პატიოსან მოქალაქესთან ერთად სადარაჯოზე უდგას ქვეყნის ინტერესებს.

რომან გოცირიძე რომ საპასუხიმგებლო სახელმწიფოებრივ პოსტზე ყოფნის დროს მედგრად იბრძოდა ჩვენი ეკონომიკის გადარჩენისათვის, ეს მთელმა საქართველომ იცის. მაფია რომ ხელს უშლიდა ყველა მეთოდით, ეს ყველამ არ იცის, მაგრამ ზოგმა იცის. რ. გოცირიძის პროფესიულ კომპეტენციასა და პრინციპულობაზე მისი ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე უწყალო კრიტიკოსებიც კი არ კამათობენ. ვერ ეკამათებიან მას მაშინაც კი, როცა იგი ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკონომიკის ნგრევის პროცესში რომელსაც დღეს ვხედავთ, არაკომპეტენტურობის გარდა ზოგ-ზოგის

ბოროტი ნებაც მონაწილეობს. ჩვენ არ გვაინტერესებს ბატონ ა. მარგანიის არც ბიოგრაფია, არც მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს ნაოფლარ-ნაშამასისლარი ეკოუებითა და დოლარებით ძვირი თუ აფხი ზორბლის შემოტანის პროცესში. გვაინტერესებს მხოლოდ ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი გამტარებელი და მესიტყვეც იგი არის, მაგრამ საქართველოს დღევანდელი მთავრობა, სადაც რბილად რომ ვთქვათ, ჩვენ ვერ ვაბოულობთ ვერცერთ პროფესიონალ ეკონომისტს და სადაც ძირითადი პოლიტიკის შემქმნელი და რეალური ძალაუფლების ერთ-ერთი მატარებელი დღეს გახლავთ ბატონი მარგანი, დიამაც ჩვენი ინტერესები იყავანია.


საქართველოს დამლუბველი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგობაში ვერაფერი შეგაშლის ხელს ვერც პარლამენტში და ვერც მის გარეთ. საქართველოს სახალხო ფრონტი არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც უკან იხევს საქართველოს თავს დამდგარი წითელ-ყავისფერი საშიშროების წინაშე. ამ საშიშროების წითელ მხარეს ბატონი ა. მარგანი ალბათ კარგად იცნობს, ვინაიდან იგი საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ბრძანდებოდა და ერთ დროს. მაგრამ წითელი დროშებისა სახალხო ფრონტს არ ეწეა ამ დროშების აბსოლუტური გამტარების გამო.

სხვათაშორის იგახსენებთ, რომ ამ საშიშროების არც მეორე, ყავისფერი მხარისა გვემინია, რომელსაც დღეს, უპირატესად, „შავი“ ავტომატები ასახიერებენ. სიმართლე ძალაა და არ ვურჩევთ იმათ რომელთაც სისტემატური და უშედეგო იერიშები მიაქვთ მასზე, ზედმეტად უხეშად შეეხონ.

საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭო

ზურაბ გოგია

პეტროკატასტროფაში დაიღუპა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართვე-



ლოს პარლამენტის წევრი, ყოფილი პოლიტიკური პარტიმარი, საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს წევრი, მწერალი ზურაბ (ხულიო) გოგია;

ზურაბ გოგიამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჩვენი ერის თავისუფლებაზე ფიქრსა და მისი ხორცშესხმისათვის ბრძოლას მოახმარა.

ზ. გოგია დაიბადა 1946 წელს ქ. რუსთაველაში. 1964 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1966-1969 წლებში მადაროელად მუშაობდა ვაღეში. 1970 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გარდაბნის გაზეთ „სამგორი“-ს განყოფილების გამგედ. სტუდენტობის დროს, 70-იანი წლების დამდეგს, ზ. გოგიამ თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა „ეროვნული თვითშეგნების აღორძინების ორგანიზაცია“, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას. ეს იყო ატაკევეშა ორგანიზაცია. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას. უმკაცრესი კონსპირაციის შედეგად, რომელიც ზ. გოგიას გამჭრიახობითა და მოხერხებულობით ხორციელდებოდა, სახელმწიფო უშიშროების ყოვლიშემძლე კომიტეტს, მიუხედავად გაძლიერებული თვალთვალის, რამოდენიმე წელიწადი დასჭირდა, ამ საიდუმლო ორგანიზაციის გამოსაგლეხად. ის მხოლოდ 1980 წელს იქნა გამოაშკარავებული. ზ. გოგია და ორგანიზაციის ორი სხვა ხელმძღვანელი დააკატირეს „ანტისაბჭოთა და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის“ ბრალდებით. ზ. გოგიას მიუსჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი დღედაუკლებლად მოახდევინეს პერმის პოლიტპატიმართა მკაცრი რეჟიმის სპეცბანაკაში.

1985 წელს პოლიტპატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე კვლავ ჩაება ეროვნულ მოძრაობაში.

იყო საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნის ინიციატორი და მისი ხელმძღვანელობის წევრი დღიდან დაარსებისა.

1986 წლიდან მუშაობდა საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის დეპუტატად, სადაც ნაყოფიერ საკანონმდებლო და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა.

1993 წელს იარაღით ხელში იბრძოდა აფხაზეთში, შემოსული მტრისა და მათი აფხაზი მოკავშირეების წინააღმდეგ.

შეუდარებელი მამულიშვილის, თავმდაბალი მოღვაწის, ნიჭიერი მწერლის, მისაბადი მეოჯახისა და უღალატო მეგობრის ზურაბ გოგიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენი, მისი თანამებრძოლების, მეგობრებისა და თანაპარტიელების მეხსიერებაში.

საპარტიველოს სახალხო ფრონტი
საპარტიველოს რესპუბლიკური პარტია
გაზეთ „საპარტიველოს“ რედაქცია

მუხილოვით, ქაპო ზურაბ!

ვინ იფიქრებდა ასე უდროოდ ხელიდან გამოგვეცლებოდი შენს საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, თანამებრძოლებს.

როგორი დაუოკებელი სურვილი გქონდა სამშობლოსათვის ბოლომდე დაგხარჯა ღვთისმომადიდებელი ენერგია, ნიჭი და უნარი. ხშირად იტყოდი: მანამ ვიცოცხლებ, სანამ ვანგების მიერ ჩემზე დაკისრებულ ფუნქციას არ შევასრულებო... მაგრამ ბედისწერა გარდაუვალი აღმოჩნდა.

ნათელი და გამჭრიახი გონების ადამიანი იყავი. არ გჩვეოდა შაბლონური ქცევები, გამორჩეული თვითშეფასებით და მოვლენებს შესაშური ადლოთი, შეუცდომელად აღიქვამდი. ამას, ასე სახალხოდ იმიტომ ვამბობ, რომ საშუალებას არ გვაძლევდი, თუნდაც სუფრასთან, სადღეგრძელოში რაიმე სიტყვები გვეთქვა. თითქმის ერთი ათეული წლის განმავლობაში ერთად ვიღვაწეთ იატაკქვეშა ანტისაბჭოურ და ანტიიმპერიულ არალეგალურ ორგანიზაციაში. აღბათ მთელი არსებით ის შეიგრძნობს იმ ზღვარგადაცილებული შექირავებით გამოწვეულ განცდებს, ვისაც თავად გამოუცდია იატაკქვეშა მუშაობა, გამოუგლია სპეცბანაკები, ცხოვრების მანძილზე ხელისუფლების საიდუმლო აგენტების გაუღმებელი მეთვალყურეობა.

ჩვენ ხომ განსაკუთრებით, სამომავლოდ დაგვსაჯეს ბოლოშევიკური რეჟიმის იდეური დეპირისპირებების გამო. მკაცრ სასჯელს ღირსეულად იტანდი და ქედი ერთხელაც არ მოგხიზია. სულთერად არც მაშინ გატყეხილხარ, როცა ურალის სპეცბანაკებიდან დაბრუნებულს დედა ცოცხალი აღარ დაგვხვდა და წვრილ შვილის პატრონს საშუალება არ მოუცეს შენი სპეციალობით, ინტელექტუალურ სფეროში გემუშავა. მეტიც, გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდი. ასეთ ვითარებაში, თავად ეკონომიკურად ხელმოკლეს სხვას ამხნევებდი და ლუკმასაც უყოფდი. მიუხედავად მძიმე ცხოვრების პირობებისა პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე აქტიურად ჩაები ეროვნულ საქმიანობაში.

განგებამ მეუღლეს ხომ შენსავით ჭირთამთმენი და თანამოაზრე შეგახვედრა, შვილებსაც პატრიოტული სულისკვეთებით და კაცთმოყვარეობის გრძობებით ზრდიდი.

ყოველთვის ამას გაიძახოდი: სამშობლოს უნდა მივცეთ მაქსიმუმი, რის მიცემაც შეგვიძლია, მისგან მივიღოთ მხოლოდ მინიმუმი, რაც არსებობისათვის არის საჭირო. ცხოვრებაში ამ გამონათქვამის გამტარებელი იყავი ბოლომდე. სურვილი გქონდა სოფელში გეცხოვრა და მიწათმოქმედებისა და მწერლობისათვის ხელი სერიოზულად მოგეკიდა...

მართალია გულდაწვევტილი წახვედი ამ ქვეყნიდან, ბევრის გაკეთებას ჰპირდებოდი შენს საყვარელ სამშობლოს, ოჯახს, მაგრამ რაც გააკეთე, რასაც მიღწევი ინტელექტუალურ თუ სულთერ სფეროში ბევრისთვის საოცნებო არის. შენ ვალმოხდილი წახვედი ყველას მიმართ. ამიტომ მშვიდად იყავი. არანაირმა სინდისის ქეჩნამ არ შეგაწუხოს.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის.
ვაჟა ჟღერტი

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს სსსკ „ინფორმატიკა“-ს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შესწავლელ კურსებზე.

მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნების მიხედვით შეუძლიათ შეარჩონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან მისთვის სასურველი.

სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია იბნ-ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები, პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა. კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.

მისამართი: ჭავჭავაძის I. ნიბი №37, კომპლექს „მხიერი“-ს ტერიტორია

ტელ: 29-48-60; 23-53-17

ვლებულობ დაკვეთებს 100-200-300 კვერცხის ტევადობის ინკუბატორების დამზადებაზე. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე 99-75-12. მისამართი: გ.ლეონიძის 20 (ყოფილი კიროვის ქ.)

ვლადიმერ ბახტაძე

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავს თინგიზ გოგოტიშვილსა და სათუნა ცხადაძეს ვაჟიშვილის შექენას.

გთავაზობთ

უცხოური წარმოების სმენის აპარატებს სმენადაქვეითებულთათვის.

ტელ: 98-88-58 (10-დან 13 სთ-მდე)

პტაპარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი
სარედაქციო საბჭო
თინგიზ გოგოტიშვილი
ვასტანგ კომახიძე
ჯეჟალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყისუფლების მოედანი, აუზიძის ძ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მონაგები: 93-18-41.
ასსუნიშგაგაბელი მღივაანი: 93-19-99

გაზეთის
06დეკსი 66447
შასი
5000 კუპონი

გაზეთი იბეჭდება ორსაბჭოური წესით საბაზეთო კორაუსში, ხოზარაულის 29.
შეიკრულია მასალაში ავტორებს არ უბრუნდებათ.